ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4155160

ნომერი: AR1620857

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 06.09.2018

გაცნობის თარიღი : 07.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭილაძე პ/ნ 60002004842
- ქუთაისი ნიკეას 2 შესახვევი 14/18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის N3870334 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 3 აგვისტოს NAR1620857 განცხადებით მომართა გიორგი ჭილაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის N3870334 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ მიწის ნაკვეთის გამოყვნის შედეგად ფორმირებული საკადასტრო გეგმის (ს/კ N01.13.07.006.027) და მიწის ნაკვეთის ფართობის 2999მ2 დაფიქსირებას.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 აგვისტოს NAR1620857 ბრძანებით თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, N 27-ში საწყობისგანსათავსებლად (ს/კ N 01.13.07.006.005 მიწის ნაკვეთისფართობი 14895 კვ.მ) დამტკიცდა მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია აღნიშნული ს/კ N01.13.07.006.005 მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად ფორმირებული საკადასტრო გეგმის (ს/კ N01.13.07.006.027) და მიწის ნაკვეთის ფართობის 2999მ2 დაფიქსირება.

წარმოდგენილია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 24 აგვისტოს N201823640 წერილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 აგვისტოს N26-88 დადგენილება, რომლითაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალა სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ით.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის N3870334 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს საკადასტრო კოდი: 01.13.07.006.027; მიწის ნაკვეთის ფართობი: 2999 კვ.მ. რეგისტრაციის N892018672846; რეგისტრაციის თარიღი 01/08/2018.
ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება მიწის ნაკვეთზე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,, ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:
- ფუნქციური ზონა (ზონები):
ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს. ტერიტორიისთვის გენერალური გეგმის მიხედვით არ არის დადგენილი კონკრეტული ქვეზონა.
სამრეწველო ზონა 1 (ს-1) — შერეული სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს.“
აღნიშნული ბრძანების გაფრთხილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით
,,გაფრთხილება:_____
1. დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების და სავალდებულო ხაზები.
2. დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხ. დანართი).
• საზოგადოებრივი საზღვრები: _____
• უკანა ეზო:_____
• მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს საკუთარი საკადასტრო საზღვრებიდან ფორმულით H=L/Y, სადაც;

– H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;
– L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.
– Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:
0.25
0.4
“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის N3870334 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.